

# შპს პანალპინა საქართველო

ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები და  
შეუმოწმებელი ანგარიში  
წლისთვის, რომელიც მთავრდება 2018 წლის 31  
დეკემბერს

## შპს პანალპინა საქართველო

### სარჩევი

---

#### გვერდი

განაცხადი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ, იმ წლის შეუმოწმებელი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დადასტურების შესახებ, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით

წინასწარი ფინანსური ანგარიშგებები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით:

|                                                                      |      |
|----------------------------------------------------------------------|------|
| განაცხადი მოგების ან დანაკარგის, ასევე სხვა სრული შემოსავლის შესახებ | 2    |
| განაცხადი ფინანსური მდგომარეობის შესახებ                             | 3    |
| განაცხადი კაპიტალში ცვლილებების შესახებ                              | 4    |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები                                    | 5-14 |

## განაცხადი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ, იმ წლის შეუმოწმებელი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დადასტურების შესახებ, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე, რომლებშიც წარმოდგენილ იქნება შპს პანალპინა საქართველო ("კომპანია") - ს ფინანსური მდგომარეობა 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგები და ცვლილებები კაპიტალში იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით, იმ ძირითადი მოსამზადებელი პროცესის შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სწორი სელექცია და სააღრიცხვო პოლიტიკის გატარება;
- ინფორმაციის წარდგენა, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკების, იმგვარად, რომ წარმოდგენილი იყოს რელევანტური, საიმედო, შესაძარებლად ვარგისი და გასაგები ინფორმაცია;
- კომპანიის შესაძლებლობების შეფასების განხორციელება, რათა მან უზრუნველყოს საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მთელ კომპანიაში შიდა კონტროლის ეფექტური და საიმედო სისტემის შექმნა, დანერგვა და შენარჩუნება;
- ადეკვატური საბუღალტრო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისია საიმისოდ, რათა ნაჩვენები იყოს კომპანიის ტრანზაქციები და აგრეთვე, გონიერი სიზუსტის ფარგლებში კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გასამყდენებლად და რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ იმაში დასარწმუნებლად, რომ კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგებები შეესაბამება იმ ძირითად მოსამზადებელ პროცესს, რომელიც წარმოდგენილია მე-2 შენიშვნაში.
- დადგენილი საბუღალტრო ჩანაწერების შენარჩუნება ადგილობრივი კანონმდებლობისა და საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად;
- იმგვარი ნაბიჯების გადადგმა, რაც მათთვის გონივრულად ხელმისაწვდომია, რათა დაცულ იქნას კომპანიის აქტივები; თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია.

კომპანიის წინასწარი ფინანსური ანგარიშგებები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით, დადასტურებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

---

ოლივიერ ლე ჰენ  
დირექტორი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

---

დიტერ პოლ კელერი  
ფინანსური მიმართულების  
ხელმძღვანელი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

განაცხადი მოგებისა და დანაკარგის, ასევე სხვა სრული შემოსავლის შესახებ  
(ლარში)

|                                                      | შენიშვნა | 2018            | 2017             |
|------------------------------------------------------|----------|-----------------|------------------|
| საექსპედიტორო შემოსავალი                             | 6        | 825,338         | 3,828,289        |
| საექსპედიტორო ხარჯი                                  |          | (491,850)       | (2,165,399)      |
| <b>გროს მოგება</b>                                   |          | <b>333.487</b>  | <b>1,662,891</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                    | 7        | (410,367)       | (948,843)        |
| ანარიცხები                                           | 12       | -               | -                |
| <b>მოგება/(დანაკარგი) საოპერაციო საქმიანობებიდან</b> |          | <b>(76,879)</b> | <b>714,048</b>   |
| სავალუტო დანაკარგები                                 |          | 27,960          | (498,013)        |
| <b>მოგება/(დანაკარგი) დაბეგვრამდე</b>                |          | <b>(48,919)</b> | <b>216,035</b>   |
| საშემოსავლო გადასახადის ხარჯი                        |          | -               | (131,112)        |
| <b>წლიური მოგება/(დანაკარგი)</b>                     |          | <b>(48,919)</b> | <b>84,922</b>    |
| სხვა სრული შემოსავალი                                |          | -               | -                |
| <b>წლიური ჯამური სრული შემოსავალი/(დანაკარგი)</b>    |          | <b>(48,919)</b> | <b>84,922</b>    |

ხელმძღვანელობის სახელით:

ოლივიერ ლე ჰენ  
დირექტორი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

დიტერ პოლ კელერი  
ფინანსური მმართველობის  
ხელმძღვანელი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

შენიშვნები 8-19 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

წინასწარი განაცხადი ფინანსური მდგომარეობის შესახებ იმ წლისთვის, რომელიც  
სრულდება 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

|                                              | შენიშვნა | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>                              |          |                           |                           |
| ქონება, ქარხანა და დანადგარები               |          | 5,280                     | 22,403                    |
| <b>არამიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>5,280</b>              | <b>22,403</b>             |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                   | 8        | 322,686                   | 886,942                   |
| მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ    | 14       | (2,742)                   | 1,050,244                 |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები      | 9        | 614,155                   | 2,496,487                 |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                    |          | <b>934,099</b>            | <b>4,433,672</b>          |
| <b>ჯამური აქტივები</b>                       |          | <b>939,379</b>            | <b>4,456,075</b>          |
| <b>კაპიტალი</b>                              |          |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                           | 10       | 10,625                    | 10,625                    |
| გაუნაწილებელი მოგება                         |          | 130,570                   | 179,489                   |
| <b>ჯამური კაპიტალი</b>                       |          | <b>141,195</b>            | <b>190,114</b>            |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>               |          |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                | 11       | 343,166                   | 245,228                   |
| ანარიცხები                                   | 12       | -                         | 3,466,480                 |
| ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ | 14       | 346,554                   | 428,597                   |
| დასაქმებულთა სარგებლის დარიცხვა              |          | 72,548                    | 90,197                    |
| მიმდინარე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი |          | 35,916                    | 35,459                    |
| <b>ჯამური ვალდებულებები</b>                  |          | <b>798,184</b>            | <b>4,265,961</b>          |
| <b>ჯამური კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          | <b>939,379</b>            | <b>4,456,075</b>          |

ხელმძღვანელობის სახელით:

ოლივიერ ლე ჰენ  
დირექტორი  
/ხელმოწერა/

დიტერ პოლ კელერი  
ფინანსური მიმართულების  
ხელმძღვანელი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

2019 წლის 30 აგვისტო

შენიშვნები 5-14 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

განაცხადი კაპიტალში ცვლილებების შესახებ იმ წლისთვის, რომელიც სრულდება  
2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

|                                                                 | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | ჯამური<br>კაპიტალი |
|-----------------------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|--------------------|
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით (დათვლილია ლარში)  | 10,625                | 179,489                 | <b>190,114</b>     |
| წლიური (დანაკარგი)<br>დეკლარირებული და გადახდილი<br>დივიდენდები | -                     | (48,919)                | <b>(48,919)</b>    |
|                                                                 | -                     | -                       | -                  |
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით                    | <b>10,625</b>         | <b>130,570</b>          | <b>141,195</b>     |

ხელმძღვანელობის სახელით:

ოლივიერ ლე ჰენ  
დირექტორი  
/ხელმოწერა/

დიტერ პოლ კელერი  
ფინანსური მმართველობის  
ხელმძღვანელი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

2019 წლის 30 აგვისტო

შენიშვნები 5-14 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### 1. ორგანიზაცია

კომპანიის 100% - ის მესაკუთრეა პანალპინა ცენტრალური აზია ე.ს, Panalpina Group-ის წევრი, რომელიც მოქმედებს კომერციული სარეგისტრაციო ნომრით: 10/5/B-08, თარიღი: 04/03/2003.

კომპანიის სრული მმართველი მხარეა Panalpina World Transport Holding Ltd ("ჯგუფი"). Panalpina World Transport Ltd, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულია და ფუნქციონირებს ბაზელში. იურიდიული მისამართია: ვიადუკტშტრასე 42, 4002 ბაზელი, შვეიცარია. კომპანიის აქციები ბირჟაზე საჯაროდ სავაჭროდაა გატანილი და ციურხში, SIX Swiss Exchange - ის ლისტინგშია.

კომპანია ახორციელებს საექსპედიტორო მომსახურებას, რაც უკავშირდება ტვირთის გადაზიდვას საზღვაო, საჰაერო და საგზაო ტრანსპორტით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქარვასლა მოლი, მე-3 სართული, ტ. დადიანის ქუჩა 7, 0101, თბილისი, საქართველო.

### 2. მომზადების საფუძველი

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა, იმ მიზნით, რათა დაეხმაროს კომპანიას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან (IFRS) თავსებადობასთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით, როგორც ეს ახსნილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკებში. ისტორიული შეფასება ზოგადად დაფუძნებულია სამართლიან ღირებულებაზე, რომლის გადახდაც ხდება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვის სანაცვლოდ, ან გადახდილ იქნებოდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღისათვის, მიუხედავად იმისა, ფასი პირდაპირი შეფასების შედეგია, თუ გამოყენებულია შეფასების სხვა ტექნიკა. ქონების ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ქონებისა და ვალდებულების მახასიათებლებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ მახასიათებლებს, თუკი შეფასების დღეს ქონებას ან ვალდებულებას შეაფასებდნენ. სამართლიანი ღირებულება შეფასების ან/და გამჟღავნების მიზნებისთვის ამ საბოლოო ანგარიშგებებშიც განსაზღვრულია სწორედ ამ საფუძველით.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასებები კატეგორიზებულია 1, 2 ან 3 დონეზე, რომელიც დაფუძნებულია იმ დონეზე, რა დონეზეც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების გაზომვის შემადგენელი ელემენტების დადგენა და ამ ელემენტების მნიშვნელობის განსაზღვრა სრული სამართლიანი ღირებულების გაზომვისას, რაც ქვევით არის აღწერილი:

- 1-ელი დონის დანახარჯები არის კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური ქონებებისა და ვალდებულებებისათვის, რომელზეც შესაძლოა ორგანიზაციას ჰქონდეს წვდომა შეფასების თარიღისთვის;
- მე-2 დონის დანახარჯები არის დანახარჯები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომელიც ექცევა 1-ელ დონეში და რომლებიც დაკვირვებადია აქტივზე ან ვალდებულებაზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ; და
- მე-3 დონის დანახარჯები არის არადაკვირვებადი დანახარჯები ქონების, ან ვალდებულების მიმართ.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

ეს ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია შენიშვნა 4 - ში.

### 3. ფუნქციონირების უწყვეტობა

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა იმ დაშვებით, რომ კომპანია არ არის უწყვეტი საქმიანობის განმახორციელებელი და რომ საწარმო გეგმავს შეწყვეტოს ვაჭრობა საანგარიშო პერიოდის დასრულებისას. ამ გადაწყვეტილების მიღებით, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფუნქციონირების გეგმები და ფინანსური პოზიცია. საექსპედიტორო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი გენერირებულ იქნა რამდენიმე შეთანხმების საფუძველზე, კომპანიის ყველაზე დიდი კლიენტისგან. სახელშეკრულებო ვადები ყველა ამ შეთანხმებისა, რაც წარმოადგენდა კომპანიის კლიენტისგან მიღებული შემოსავლების უდიდეს ნაწილს, გავიდა 2017 და 2018 წლებში და კლიენტთან კონტრაქტები აღარ განახლებულა. კონტრაქტების არარსებობამ და სამომავლოდ ნაღდი ფულის მოდინების არარსებობამ გააჩინა სერიოზული ეჭვები უწყვეტი ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა უწყვეტი ფუნქციონირებისგან განსხვავებული საფუძველით, რაც მოიცავს, იქ სადაც საჭიროა, საწარმოს აქტივების ჩაწერას ნეტ სარეალიზაციო ღირებულებად. კომპანია ეტაპობრივად წყვეტდა თავის საქმიანობას, ხოლო მიმდინარე ბიზნესი გადასცა მის მიერ დანიშნულ აგენტს და ამჟამად გადახედავს საქართველოში მის პოზიციებს.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები შემდეგია:

#### შემოსავალი

საექსპედიტორო მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდში, როცა ტრანზაქცია დასრულდა, შემოსავლის ოდენობა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და არსებობს ალბათობა, რომ ეკონომიკური სარგებელი, დაკავშირებული ტრანზაქციასთან, მოხვდება კომპანიაში.

საექსპედიტორო მომსახურებები მიწოდების უფრო მეტი ვადით, აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაწეულ იქნა მომსახურება, იმ კონკრეტულ ტრანზაქციაზე მითითებით, რომელიც შეფასებულ იქნა რეალურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, რომელიც გაწეულ იქნა გასაწევი ჯამური მომსახურების პროპორციულად.

#### მიმდინარე სამუშაო

მიმდინარე სამუშაოები გულისხმობს აღურიცხავი ექსპედიციიდან მიღებულ შემოსავალს წლის ბოლოს. მათი კაპიტალიზება ხდება როგორც მიმდინარე სამუშაოები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აღდგენა შესაძლებელია კლიენტისგან. მიმდინარე სამუშაოები ექცევა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

#### დასაქმებულთა სარგებელი

დასაქმებულთა სარგებელთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებების შეფასება ხდება არადისკონტირებულ საფუძველზე და მათი შეფასება ხდება დაკავშირებული მომსახურების შესაბამისად. ვალდებულების აღიარება ხდება იმ ოდენობის შესაბამისად, რომელიც მოსალოდნელია, რომ გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების გამანაწილებელი გეგმის მიხედვით, თუ კომპანიას გააჩნია არსებული სამართლებრივი ან

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გადაიხადოს ეს ოდენობა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და თუ შესაძლებელია ვალდებულების შეფასება.

### **ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში**

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, ტრანზაქციები, იმ ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის საანგარიშგებო ვალუტისგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია იმ ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც დადგენილია ტრანზაქციების დღეებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, ფულადი საშუალებები, გამოხატული უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. არაფულადი საშუალებები, გათვალისწინებული სამართლიან ფასად, რომელიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ თარიღში, როცა განსაზღვრულ იქნა სამართლიანი ფასი. არაფულადი საშუალებები, რომელთა შეფასებაც ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში, არ კონვერტირდება.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებსა და მოთხოვნებს მათი წარმოშობის თარიღის მიხედვით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარებულია თავდაპირველად გარიგების თარიღის მიხედვით, როცა კომპანია იქცა ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარედ.

კომპანია აღარ აღიარებს ფინანსურ აქტივს მაშინ, როცა აქტივიდან გამომდინარე ფულადი სახსრების ნაკადზე სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გაუვიდა, ან როცა ის ახდენს უფლებების გადაცემას ფინანსური აქტივიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებასთან დაკავშირებით იმგვარი ტრანზაქციით, რომელშიც მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და მოგების გადაცემა ხდება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი, ან შენარჩუნებულია კომპანიის მიერ, აღიარებულია როგორც ქონება, ან ვალდებულება.

კომპანია აღარ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას, როცა მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებული, გაუქმებული, ან ვადაგასულია. ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია სუფთა ოდენობა როცა და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიას მიმდინარედ გააჩნია იურიდიულად გამყარებული, აღიარებული თანხების ჩათვლის უფლება და მიზნად ისახავს განახორციელოს თანხის გაქვითვა ნეტ ღირებულებაზე დაფუძნებით ან გაასხვისოს ქონება და განახორციელოს ვალდებულებათა გაქვითვა ერთსა და იმავე დროს. ამჟამად კომპანიას გააჩნია სამართლებრივად რეალიზებადი ჩათვლის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არაა დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და რეალიზებადია როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ისე კომპანიისა და ყველა კონტრაქტორის დეფოლტის, გადახდისუუნარობის, ან გაკოტრების შემთხვევაში.

### **სესხები და მოთხოვნები**

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების ის კატეგორიებია, რომელთანაც დაკავშირებულია ის ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადახდები, რომელთა კოტირებაც არ ხდება აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიან ფასად, პლუს ნებისმიერი პირდაპირი თანმდევი საოპერაციო ხარჯი. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

შემდეგ ხდება ამორტიზებული ხარჯის შეფასება ეფექტური პროცენტის დარიცხვის მეთოდის მეშვეობით, ნაკლები ვიდრე გაუფასურების დანაკარგები.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიას მიეკუთვნება ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები (ფულადი ნაშთები ბანკებში).

### ფინანსური ვალდებულებები

კომპანია არადერივატიულ ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები აღიარებულია პირველად სამართლიან ფასად, სადაც არ გაითვალისწინება რაიმე პირდაპირი, ტრანზაქციის თანმდევი ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ, ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებულ ფასად ეფექტური პროცენტის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

### გაუფასურება

ფინანსური აქტივის შეფასება ხდება ყოველ საანგარიშო თარიღში, რათა განსაზღვრულ იქნას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოხდება მისი გაუფასურება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუკი ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის პირვანდელი აღიარების შემდეგ დადგა დანაკარგის ფაქტი და რომ დანაკარგის ფაქტს ნეგატიური ეფექტი აქვს აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადზე, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი.

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, შესაძლოა მოიცავდეს დეფოლტს, ან მოვალის მიერ გადაუხდელობას, კომპანიისადმი კუთვნილი თანხის რესტრუქტურირების იმგვარად, რომ კომპანია სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს, აგრეთვე მოვალის გაკოტრებაზე მითითებას, კომპანიის მსესხებლის, ან მოვალის სტატუს კვოში მნიშვნელოვან ცვლილებებს, ეკონომიკურ გარემოებებს, რომელიც კორელაციას ახდენს დეფოლტებთან, აქტიური ბაზრის გაქრობა უსაფრთხოების, ან დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, რომელიც მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი შემცირება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

### სესხები და მოთხოვნები

კომპანია ითვალისწინებს სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებებს როგორც კონკრეტულ აქტივზე, ისე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა ფასდება კონკრეტული გაუფასურების ჭრილში. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა, რომლებიც კონკრეტულად არ გაუფასურდება, შემდეგ კოლექტიურად ფასდება ყველა იმ გაუფასურების ჭრილში, რომლებიც განცდილ იქნა, მაგრამ ჯერ არ მომხდარა მათი იდენტიფიცირება. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალური მნიშვნელობის არ არის, კოლექტიურად ფასდება გაუფასურების ჭრილში მსგავსი რისკის მახასიათებლების მიხედვით სესხებისა და მოთხოვნების დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასების ნაწილში კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის ისტორიულ ტენდენციებს, ანაზღაურების ვადებსა და განცდილი დანაკარგის ოდენობებს, რომელთა კორექტირებაც ხდება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით იმის დასადგენად, რომ არსებული ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა იმგვარია, რომ ფაქტობრივი დანაკარგები მოსალოდნელია, რომ აღემატებოდეს, თუ იყოს უფრო მცირე, ვიდრე წარმოდგენილი ისტორიული ტენდენციები.

გაუფასურებიდან გამომდინარე დანაკარგი ფინანსურ აქტივთან ამორტიზირებული ღირებულების ჭრილში იზომება მის საბალანსო ღირებულებასა და წარმოდგენილი სავარაუდო სამომავლო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

ფულის ნაკადებს შორის სხვაობით, დისკონტირებული აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დანაკარგების აღიარება ხდება მოგებად, ან დანაკარგად და აისახება სარეზერვო ანგარიშზე. პროცენტი გაუფასურებულ აქტივზე კვლავაც აღიარებული რჩება დისკონტის გაუქმებით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების დანაკარგის ოდენობის შემცირებას, გაუფასურების დანაკარგის აღდგენა ხდება მოგებით, ან ზარალით.

### არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, შემოწმდება ყოველ საანგარიშო თარიღში, რათა განსაზღვრულ იქნას, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები. თუკი ასეთი ნიშნები არსებობს, ხდება აქტივის ანაზღაურებადი ოდენობის შეფასება. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ოდენობას.

გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, აქტივები, რომელთა შემოწმებაც შეუძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების მინიმალურ ჯგუფად, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების შემოძინებას განგრძობითი გამოყენების პირობებში, რაც დიდ წილად დამოუკიდებელია სხვა CGU-ს თუ აქტივების ფულადი სახსრების შემოძინებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენს პირველადი ფულადი სახსრების შემოძინებას და გამოიყენება ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება CGU-ებს შორის გონივრულ და თანმიმდევრულ ბაზისზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ CGU-ს შემოწმების ფარგლებში რომელზეც განაწილებულია აქტივი.

აქტივის, ან CGU-ს ანაზღაურებადი ოდენობა - ეს არის გამოყენებაში მისი უდიდესი ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირება მათ ამჟამინდელ ღირებულებამდე, რა დროსაც გამოიყენება დაბეგვრამდელი დისკონტის განაკვეთი, რომელიც ასახავს ფულის დროითი მნიშვნელობისა და რისკების არსებულ საბაზრო შეფასებებს აქტივისა თუ CGU-ს ჭრილში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან მისი ფულადი სახსრების წარმოქმნილი ჯგუფი (CGU) - ს საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ოდენობას. გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგებაში ან დანაკარგში. CGU-სთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების დანაკარგები ამცირებს CGU-ში (CGU-ების ჯგუფებში) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებებს პროპორციულობის საფუძველზე.

გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები რომელთა აღიარება მოხდა წინა პერიოდებში, ფასდება ყოველ სააღრიცხვო დღეს იმ ნიშნების შესამოწმებლად, რაც მიუთითებს, რომ დანაკარგი შემცირდა, ან საერთოდ აღარ არსებობს. გაუფასურებით წარმოქმნილი დანაკარგი აღდგება, თუკი მოხდა რაიმე ცვლილება იმ შეფასებებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა ანაზღაურებადი თანხების განსაზღვრავად. გაუფასურების დანაკარგი აღდგება მხოლოდ იმ პირობებში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, ცვეთის ან ამორტიზაციის გარეშე, არანაირი გაუფასურებიდან წარმოქმნილი დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

### ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება წარსულში მომხდარი შემთხვევის შედეგად, კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც შესაძლოა, რომ საიმედოდ იქნას შეფასებული, და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასარეგულირებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადის დისკონტით დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთამდე, რომელიც ასახავს ვალდებულებისთვის დამახასიათებელი ფულის დროითი ღირებულებისა და რისკების არსებულ საბაზრო შეფასებებს. დისკონტის რესტიტუცია აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### საიჯარო ქირის გადახდები

იჯარის ოპერირებასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში სწორხაზოვან ბაზისზე საიჯარო ვადის განმავლობაში. მიღებული ანაზღაურებები აღიარებულია როგორც ჯამური საიჯარო ხარჯების განუყოფელი ნაწილი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში.

### მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება არსებულ საგადასახადო მოდელში და ეს ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, შეეხო ყველა საწარმოს, გარდა ცალკეული ფინანსური ინსტიტუტებისა. ახლებური მოდელი გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, რაც განსხვავდება წინა მოდელისგან, როცა 15%-ის დარიცხვა ხდებოდა კომპანიის მოგებაზე დაბეგვრამდე, მიუხედავად იმისა, მოხდებოდა მოგების განაწილება თუ არა.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რომლებიც ეხება კომპანიას, ხოლო საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, ისე სავარაუდო მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- განაწილებული მოგებები;
- გაწეული ხარჯები ან სხვა ისეთი გადახდები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და/ან სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე აღიარებულია, როგორც ხარჯი იმ მომენტში, როცა ხდება დივიდენდების დეკლარირება და ასახვა "მოგების გადასახადის" ქვეშ ანგარიშგებასა და მოგებასა თუ დანაკარგში. ამჟამინდელი საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება იმ ოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია, ან რომლის გადახდაც ხდება საგადასახადო ორგანოებისთვის.

იმ მიმართულებით დარიცხული გადასახადი, რომელიც არ ექვევს განაწილებულ მოგებაში, როგორც ეს ზემოთ იქნა აღწერილი, აღირიცხება "გადასახადები და სახდელები" - ს ქვეშ ანგარიშგებასა და მოგებასა თუ დანაკარგში.

ახალი კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება, როცა მოგება მიღებულია და დაეკისრება მოგების გადასახადის ხარჯი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მოგების განაწილება.

### დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

გამავალი დღგ, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადაიხდება კლიენტებისთვის საქონლის მიწოდებისას. შემოღებული დღგ, როგორც წესი, ანაზღაურებადია გამავალი დღგ-ს მიმართ, ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ, მოხდეს დღგ-ს გადახდა ნეტ ღირებულების საფუძველზე. დღგ, დაკავშირებული გაყიდვებთან და შესყიდვებთან, აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტ საფუძველზე და მისი გამჟღავნება ხდება როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება. იქ, სადაც ანარიცხები გაკეთებულ იქნა მოთხოვნების გაუფასურებისთვის, გაუფასურებიდან გამოწვეული დანაკარგი აღირიცხება მოვალის მიმართ გროს ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი არის კომპანიის აქტივებში დარჩენილი წილი, მისი ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მიღებული ამონაგების მიხედვით, ემისიის პირდაპირი ხარჯების საფუძველზე.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### 5. კრიტიკული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და გაურკვევლობის შეფასების საკვანძო წყაროები

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რაც ზეგავლენას ახდენს იმ თანხებზე, რომელთა აღიარებაც მოხდა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებებში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებული გარემოებების პირობებში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს ცალკეულ გადაწყვეტილებებს, გარდა იმისა, რაც ეხება შეფასებებსა და პროცესში სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებას. ქვემოთ მოყვანილია გადაწყვეტილებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში.

#### დაკავშირებული მხარის ფინანსური ტრანზაქციების პირველადი აღიარება

ბიზნეს საქმიანობის ჩვეულებრივ წარმართვის პირობებში, კომპანია ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ამ შემთხვევაში, მთავარია იმის განსაზღვრა, ტრანზაქციები ფასდება საბაზროზე დაბალი ფასით, თუ არასაბაზრო პროცენტული განაკვეთებით, როცა ასეთი ტრანზაქციისთვის ზოგადად არანაირი აქტიური ბაზარი არ არსებობს. გადაწყვეტილების მიღების საფუძველად გამოიყენება მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასები არადაკავშირებულ მხარეებს შორის და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

### 6. საექსპედიტორო შემოსავალი

იმ წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრით, საექსპედიტორო შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი გენერირებულ იქნა ტვირთის გადაზიდვის მართვის მომსახურებების საფუძველზე კომპანიის ყველაზე დიდ კლიენტთან, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

### 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                      | 2018           | 2017           |
|----------------------|----------------|----------------|
| პერსონალური ხარჯები  | 345,732        | 647,452        |
| ოჯარის ხარჯები       | 52,212         | 78,827         |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 16,458         | 28,785         |
| სხვა ხარჯები         | (4,035)        | 193,780        |
|                      | <b>410,367</b> | <b>948,843</b> |

### 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

|                                                                                  | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                                               | 79,504                    | 583,331                   |
| ნაკლები: საექვო ვალების ანარიცხი                                                 | -                         | (26,884)                  |
| <b>ჯამური სავაჭრო მოთხოვნები</b>                                                 | <b>79,504</b>             | <b>556,447</b>            |
| საექსპედიტორო კონტრაქტის შესაბამისად კლიენტის მიმართ არსებული აღურიცხავი თანხები | 33,989                    | 144,993                   |
| სხვა მოთხოვნები                                                                  | 209,192                   | 185,501                   |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>                                                | <b>322,686</b>            | <b>886,942</b>            |

კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკების და გაუფასურებიდან გამომდინარე დანაკარგების მიმართ, რაც უკავშირდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, მოცემულია შენიშვნა 14-ში.

### 9. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები

|                           | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| ნაღდი ფული ბანკში დოლარში | 581,326                   | 2,447,449                 |
| ნაღდი ფული ბანკში ლარში   | 32,828                    | 49,038                    |
|                           | <b>614,155</b>            | <b>2,496,487</b>          |

### 10. საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი აირს 5,000 აშშ დოლარი (10,625 ლარი). საწესდებო კაპიტალის მთელი ოდენობის და შესაბამისად, კომპანიის წილების 100% - ის მესაკუთრეა პანალპინა ცენტრალური აზია.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ დაადეკლარირა და გასცა 0 დივიდენდი.

### 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                  | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები            | 37,254                    | 26,366                    |
| სხვა ვალდებულებები და დარიცხვები | 305,912                   | 218,862                   |
|                                  | <b>343,166</b>            | <b>245,228</b>            |

ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს კომპანიის სავალუტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს, დაკავშირებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან, მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

### 12. ანარიცხები

ყველაზე დიდ კლიენტთან დადებული საექსპედიტორო კონტრაქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია მოახდინოს ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა ტვირთის გადაზიდვის პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე.

კონტრაქტის თანახმად, ვალდებულებები კლიენტის მიმართ დაითვლება შემდეგი პრინციპით: ადამიანური რესურსის ღირებულებას დამატებული ნამატი. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ხარჯები ადამიანური რესურსების ნაწილში მოიცავდა შემდეგს: ხელფასები, ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები და Panalpina Group - ის კორპორატიული განაცემები.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

2016 წლის დეკემბერში კლიენტმა შეაფასა ადამიანური რესურსების ხარჯები და მიიჩნია, რომ ადამიანური რესურსებისა და ნამატის ხარჯი, რომელიც კომპანიის მიერ ირიცხებოდა, მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი. შედეგად, კლიენტმა მოითხოვა წინა გადახდების გადახედვა.

კომპანიამ გაკეთა მოთხოვნა კლიენტთან ხსენებულ თანხებზე 2018 წელს.

### 13. სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადახდილ იქნებოდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები შეფასებულ იქნა კომპანიის მიერ, სადაც ეს არსებობს - ბაზარზე ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება. საქართველო კვლავაც წარმოაჩენს განვითარებადი ბაზრის სხვადასხვა მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზარზე საქმიანობას. საბაზრო კოტირებები შესაძლოა იყოს მოძველებული ან ასახავდეს დისტრესულ გაყიდვებს და შესაბამისად, არ წარმოაჩენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მოქცეულია მე-3 კატეგორიაში. სავაჭრო და სხვა ვალების, ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ექვივალენტების და ფინანსური მოთხოვნების მოკლევადიანი ბუნების გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ საბალანსო ღირებულებები დაახლოებით ახლოსაა მის სამართლიან ღირებულებასთან.

### 14. რისკების მართვა

#### მიმოხილვა

კომპანია მისი ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ექცევა შემდეგი რისკების ქვეშ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის წინაშე არსებული თითოეული ზემოხსენებული რისკის შესახებ, აგრეთვე კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების შესახებ, რომლებიც გამოიყენება რისკების შეფასებისა და მართვის პროცესში და კომპანიის კაპიტალის მართვისას.

ფინანსური მიმართულების ხელმძღვანელს აკისრია ზოგადი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის ჩარჩოს შექმნისა და მართვის კუთხით. კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე.

#### საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური ინსტრუმენტის კლიენტი, ან კონტრაქტორი ვერ ასრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკები, როგორც წესი, უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს ბანკში და ვადამოსულ მოთხოვნებს დაკავშირებული მხარეების მიმართ. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და დაკავშირებული მხარეების ვადამოსული მოთხოვნებიდან

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

გამომდინარე საკრედიტო რისკების მონიტორინგს განგრძობითობის საფუძველზე ახორციელებს ხელმძღვანელობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

### საკრედიტო რისკები

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს. საანგარიშგებო თარიღში მაქსიმალური საკრედიტო რისკის დონე იყო შემდეგი:

|                                         | შენიშვნა | საბალანსო ღირებულება   |                        |
|-----------------------------------------|----------|------------------------|------------------------|
|                                         |          | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
| სავაჭრო მოთხოვნები                      | 8        | 79,504                 | 556,447                |
| ვადამოსული მოთხოვნები                   |          |                        |                        |
| დაკავშირებული მხარეებისგან              |          | (2,742)                | 1,050,244              |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები | 9        | 614,155                | 2,496,487              |
|                                         |          | <b>690,917</b>         | <b>4,103,178</b>       |

### სავაჭრო მოთხოვნები და ვადამოსული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ

კომპანია აფუძნებს რეზერვს გაუფასურებისთვის, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების კუთხით დანაკარგების შეფასებას. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია დანაკარგის სპეციფიკური კომპონენტი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალური ნიშნის მქონე რისკებს.

ანგარიშგების თარიღისთვის, ყველა სავაჭრო მოთხოვნის 98% მომდინარეობდა ერთი კლიენტისგან (2017 წლის 31 დეკემბერი: 98%).

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას დროულად. ლიკვიდურობის რისკი ძირითადად უკავშირდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ნაშთებს დაკავშირებული მხარეებისგან.

კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვის კუთხით გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის გააჩნდეს სათანადო ლიკვიდურობა დროულად ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, მიუღებელი დანაკარგებისა და კომპანიის რეპუტაციის სარისკო დაზიანების გარეშე.

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადები ანგარიშგების თარიღებისათვის:

|                                | საბალანსო ღირებულება | სახელშეკრულებით ფულადი ნაკადები | 6 თვე ან ნაკლები | 6 თვეზე მეტი |
|--------------------------------|----------------------|---------------------------------|------------------|--------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b>  |                      |                                 |                  |              |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 343,166              | 343,166                         | 343,166          | -            |
| ვადამოსული ვალდებულებები       |                      |                                 |                  |              |
| დაკავშირებული მხარეების მიმართ | 346,554              | 346,554                         | 346,554          | -            |
|                                | <b>454,963</b>       | <b>454,963</b>                  | <b>454,963</b>   | -            |
|                                |                      |                                 |                  |              |
|                                | საბალანსო ღირებულება | სახელშეკრულებით ფულადი ნაკადები | 6 თვე ან ნაკლები | 6 თვეზე მეტი |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### 2018 წლის 31 დეკემბერს

|                                |                |                |                |          |
|--------------------------------|----------------|----------------|----------------|----------|
| სავაჭრო ვალდებულებები          | 26,366         | 26,366         | 26,366         | -        |
| ვადამოსული ვალდებულებები       |                |                |                |          |
| დაკავშირებული მხარეების მიმართ | 428,597        | 428,597        | 428,597        | -        |
|                                | <b>454,963</b> | <b>454,963</b> | <b>454,963</b> | <b>-</b> |

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, როდესაც საბაზრო ფასების ცვლილებები, როგორცაა ვალუტის კურსი და საპროცენტო განაკვეთი, ზეგავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების მისაღებ პარამეტრებში კონტროლი და მართვა. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთის რყევებს.

### საფალუტო რისკი

კომპანია და ფილიალი ძირითადად იყენებენ აშშ დოლარის გაცვლით კურსს მათი ტრანზაქციებისა და ნაშთების უმეტეს შემთხვევებში.

### კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის რაიმე ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეობის ნდობა. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით. ამ ღონისძიებების შედეგად კომპანია მიზნად ისახავს მოგების მუდმივ ზრდას.

## 15. დასკვნითი დებულებები

### სამართლებრივი პროცედურები

დროდადრო და ბიზნეს საქმიანობის ჩვეული რიტმის პირობებში კომპანიისადმი პრეტენზიები მოდის კლიენტებისა და კონტრაქტორებისგან. ხელმძღვანელობა თვლის, რომ განცდილი არ იქნება რაიმე მნიშვნელოვანი, გაუთვალისწინებელი დანაკარგები.

### დაბეგვრა

ქართული საგადასახადო სამართალი შესაძლოა იწვევდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და შესწორებების საფუძველს. ამასთან, ხელმძღვანელობის ინტერპრეტაცია საგადასახადო კანონმდებლობის გაგებისა, შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების შეხედულებებისგან, ტრანზაქციები შესაძლოა გადავებულ იქნას საგადასახადო ორგანოების მიერ და შედეგად კომპანიას შეიძლება დამატებით დაეკისროს გადასახადების, ჯარიმებისა თუ პროცენტის გადახდა. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ მან უკვე განახორციელა ყველა საგადასახადო გადახდა და შესაბამისად, ამის შესახებ არანაირი დაშვება არ გაკეთებულა ფინანსურ ანგარიშგებებში. საგადასახადო წლები ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი წლის განმავლობაში.

### საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. ვინაიდან, საქართველოში ბიზნეს გარემოზე ზეგავლენის მომხდენი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, კომპანიის აქტივებსა და ოპერაციებს შესაძლოა წარმოეშვას პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში ნეგატიური ცვლილებების რისკი.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა მათ შორის საქართველოს ბაზარი, უფრო ხშირად დგას სხვადასხვა რისკების წინაშე, ვიდრე განვითარებული ბაზრები, მათ შორის იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა საქართველოში ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციებს და პრობლემების წარმოქმნის სხვადასხვა საფუძველი შესაძლოა გახდეს სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებიც. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდ წილად განისაზღვრება მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკები, ასევე სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების განმსაზღვრელი გარემოებები.

2018 წლის განმავლობაში, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, რომლებიც საქართველოს დიდი სავაჭრო პარტნიორები არიან, მოხდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური არეულობები, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია ქართული ეკონომიკისათვის.

საქართველოში ეკონომიკური სიტუაცია დიდ წილად დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ ღონისძიებებზე, ქართული ეკონომიკურ სამომავლო მდგომარეობაზე და დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე შედეგები წინასწარ ძნელი განსასაზღვრავია.

### 16. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები

კომპანია, ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, შედის გარიგებებში სხვა ბიზნეს საწარმოებთან, რომლებიც ექვევნიან IAS 24 - ით განსაზღვრული 'დაკავშირებული მხარეების' დეფინიციას. ეს ტრანზაქციები ძირითადად მოიცავს სესხებს, საექსპედიციო მომსახურებებს, სესხის პროცენტებს და შეთანხმებული განაკვეთების მართვას. კომპანია ასევე იყოფს ხელმძღვანელობას, საკვანძო პერსონალსა და პოლიტიკის შემუშავების პროცესს თავის დამფუძნებელ კომპანიასთან და ჯგუფის სხვა კომპანიებთან.

#### სხვა დაკავშირებული მხარეთა ნაშთები და ტრანზაქციები

##### მოგება და ხარჯები

##### ვადამოსული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ

|                                                       | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვადამოსული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ: |                           |                           |
| - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები      | (2,742)                   | 1,050,244                 |
|                                                       | <b>(2,742)</b>            | <b>1,050,244</b>          |

##### ვადამოსული ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ

|                                                          | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვადამოსული ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ: |                           |                           |
| - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები         | 346,554                   | 428,597                   |
|                                                          | <b>346,554</b>            | <b>428,597</b>            |

# **Panalpina Georgia LLC**

Separate Financial Statements and  
Unaudited Report  
For the Year Ended 31 December 2018

# PANALPINA GEORGIA LLC

## TABLE OF CONTENTS

---

|                                                                                                                                                       | Page |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| STATEMENT OF MANAGEMENT'S RESPONSIBILITIES FOR THE PREPARATION AND APPROVAL OF THE UNAUDITED FINANCIAL STATEMENTS FOR THE YEAR ENDED 31 DECEMBER 2018 | 1    |
| PRELIMINARY FINANCIAL STATEMENTS FOR THE YEAR ENDED 31 DECEMBER 2018:                                                                                 |      |
| Statement of profit or loss and other comprehensive income                                                                                            | 2    |
| Statement of financial position                                                                                                                       | 3    |
| Statement of changes in equity                                                                                                                        | 4    |
| Notes to the financial statement                                                                                                                      | 5-14 |

| <b>კაპიტალი</b>                              |          |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                           | 10       | 10,625                    | 10,625                    |
| გაუნაწილებელი მოგება                         |          | 130,570                   | 179,489                   |
| <b>ჯამური კაპიტალი</b>                       |          | <b>141,195</b>            | <b>190,114</b>            |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>               |          |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                | 11       | 343,166                   | 245,228                   |
| ანარიცხები                                   | 12       | -                         | 3,466,480                 |
| ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ | 14       | 346,554                   | 428,597                   |
| დასაქმებულთა სარგებლის დარიცხვა              |          | 72,548                    | 90,197                    |
| მიმდინარე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი |          | 35,916                    | 35,459                    |
| <b>ჯამური ვალდებულებები</b>                  |          | <b>798,184</b>            | <b>4,265,961</b>          |
| <b>ჯამური კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          | <b>939,379</b>            | <b>4,456,075</b>          |

ხელმძღვანელობის სახელით:

ოლივიერ ლე ჰენ  
დირექტორი  
/ხელმოწერა/

დიტერ პოლ კელერი  
ფინანსური მმართველობის  
ხელმძღვანელი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

2019 წლის 30 აგვისტო

შენიშვნები 5-14 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

## განაცხადი კაპიტალში ცვლილებების შესახებ იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

|                                                                 | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | ჯამური<br>კაპიტალი |
|-----------------------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|--------------------|
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით (დათვლილია ლარში)  | 10,625                | 179,489                 | <b>190,114</b>     |
| წლიური (დანაკარგი)<br>დეკლარირებული და გადახდილი<br>დივიდენდები | -                     | (48,919)                | <b>(48,919)</b>    |
|                                                                 | -                     | -                       | -                  |
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის<br>მდგომარეობით                    | <b>10,625</b>         | <b>130,570</b>          | <b>141,195</b>     |

ხელმძღვანელობის სახელით:

ოლივიერ ლე ჰენ  
დირექტორი  
/ხელმოწერა/

დიტერ პოლ კელერი  
ფინანსური მმართველის  
ხელმძღვანელი  
/ხელმოწერა/

2019 წლის 30 აგვისტო

2019 წლის 30 აგვისტო

შენიშვნები 5-14 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### 1. ორგანიზაცია

კომპანიის 100% - ის მესაკუთრეა პანალპინა ცენტრალური აზია ე.ს, Panalpina Group-ის წევრი, რომელიც მოქმედებს კომერციული სარეგისტრაციო ნომრით: 10/5/B-08, თარიღი: 04/03/2003.

კომპანიის სრული მმართველი მხარეა Panalpina World Transport Holding Ltd ("ჯგუფი"). Panalpina World Transport Ltd, რომელიც წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, დაფუძნებულია და ფუნქციონირებს ბაზელში. იურიდიული მისამართი: ვიადუკტმტრასე 42, 4002 ბაზელი, შვეიცარია. კომპანიის აქციები ბირჟაზე საჯაროდ სავაჭროდაა გატანილი და ციურხში, SIX Swiss Exchange - ის ლისტინგშია.

კომპანია ახორციელებს საექსპედიტორო მომსახურებას, რაც უკავშირდება ტვირთის გადაზიდვას საზღვაო, საჰაერო და საგზაო ტრანსპორტით.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქარვასლა მოლი, მე-3 სართული, ტ. დადიანის ქუჩა 7, 0101, თბილისი, საქართველო.

### 2. მომზადების საფუძველი

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა, იმ მიზნით, რათა დაეხმაროს კომპანიას საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან (IFRS) თავსებადობასთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებისა ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებით, როგორც ეს ახსნილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკებში. ისტორიული შეფასება ზოგადად დაფუძნებულია სამართლიან ღირებულებაზე, რომლის გადახდაც ხდება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვის სანაცვლოდ, ან გადახდილ იქნებოდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღისათვის, მიუხედავად იმისა, ფასი პირდაპირი შეფასების შედეგია, თუ გამოყენებულია შეფასების სხვა ტექნიკა. ქონების ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ქონებისა და ვალდებულების მახასიათებლებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ მახასიათებლებს, თუკი შეფასების დღეს ქონებას ან ვალდებულებას შეაფასებდნენ. სამართლიანი ღირებულება შეფასების ან/და გამჟღავნების მიზნებისთვის ამ საბოლოო ანგარიშგებებშიც განსაზღვრულია სწორედ ამ საფუძველით.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასებები კატეგორიზებულია 1,2 ან 3 დონეზე, რომელიც დაფუძნებულია იმ დონეზე, რა დონეზეც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების გაზომვის შემადგენელი ელემენტების დადგენა და ამ ელემენტების მნიშვნელობის განსაზღვრა სრული სამართლიანი ღირებულების გაზომვისას, რაც ქვევით არის აღწერილი:

- 1-ელი დონის დანახარჯები არის კოტირებული ფასები (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზრებზე იდენტური ქონებებისა და ვალდებულებებისათვის, რომელზეც შესაძლოა ორგანიზაციას ჰქონდეს წვდომა შეფასების თარიღისთვის;
- მე-2 დონის დანახარჯები არის დანახარჯები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომელიც ექცევა 1-ელ დონეში და რომლებიც დაკვირვებადია აქტივზე ან ვალდებულებაზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ; და
- მე-3 დონის დანახარჯები არის არადაკვირვებადი დანახარჯები ქონების, ან ვალდებულების მიმართ.

იხილეთ სექცი

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

ეს ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია შენიშვნა 4 - ში.

### 3. ფუნქციონირების უწყვეტობა

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა იმ დაშვებით, რომ კომპანია არ არის უწყვეტი საქმიანობის განმახორციელებელი და რომ საწარმო გეგმავს შეწყვეტოს ვაჭრობა საანგარიშო პერიოდის დასრულებისას. ამ გადაწყვეტილების მიღებით, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფუნქციონირების გეგმები და ფინანსური პოზიცია. საექსპედიტორო შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი გენერირებულ იქნა რამდენიმე შეთანხმების საფუძველზე, კომპანიის ყველაზე დიდი კლიენტისგან. სახელმძღვანელო ვადები ყველა ამ შეთანხმებისა, რაც წარმოადგენდა კომპანიის კლიენტისგან მიღებული შემოსავლების უდიდეს ნაწილს, გავიდა 2017 და 2018 წლებში და კლიენტთან კონტრაქტები აღარ განახლებულა. კონტრაქტების არარსებობამ და სამომავლოდ ნაღდი ფულის მოძინების არარსებობამ გააჩინა სერიოზული ეჭვები უწყვეტი ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ეს ცალკეული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა უწყვეტი ფუნქციონირებისგან განსხვავებული საფუძველით, რაც მოიცავს, იქ სადაც საჭიროა, საწარმოს აქტივების ჩაწერას ნეტ სარეალიზაციო ღირებულებად.

კომპანია ეტაპობრივად წყვეტდა თავის საქმიანობას, ხოლო მიმდინარე ბიზნესი გადასცა მის მიერ დანიშნულ აგენტს და ამჟამად გადახედავს საქართველოში მის პოზიციებს.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები შემდეგია:

#### შემოსავალი

საექსპედიტორო მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდში, როცა ტრანზაქცია დასრულდა, შემოსავლის ოდენობა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და არსებობს ალბათობა, რომ ეკონომიკური სარგებელი, დაკავშირებული ტრანზაქციასთან, მოხვდება კომპანიაში.

საექსპედიტორო მომსახურებები მიწოდების უფრო მეტი ვადით, აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაჩეულ იქნა მომსახურება, იმ კონკრეტულ ტრანზაქციაზე მითითებით, რომელიც შეფასებულ იქნა რეალურად გაჩეული მომსახურების საფუძველზე, რომელიც გაჩეულ იქნა გასაწევი ჯამური მომსახურების პროპორციულად.

#### მიმდინარე სამუშაო

მიმდინარე სამუშაოები გულისხმობს აღურიცხავი ექსპედიციიდან მიღებულ შემოსავალს წლის ბოლოს. მათი კაპიტალიზება ხდება როგორც მიმდინარე სამუშაოები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აღდგენა შესაძლებელია კლიენტისგან. მიმდინარე სამუშაოები ექცევა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

#### დასაქმებულთა სარგებელი

დასაქმებულთა სარგებელთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებების შეფასება ხდება არადისკონტირებულ საფუძველზე და მათი შეფასება ხდება დაკავშირებული მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებების აღიარება ხდება იმ ოდენობის შესაბამისად, რომელიც მოსალოდნელია, რომ გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების გამანაწილებელი გეგმის მიხედვით, თუ კომპანიას გააჩნია არსებული სამართლებრივი ან

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გადაიხადოს ეს ოდენობა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად, და თუ შესაძლებელია ვალდებულების შეფასება.

### *ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში*

წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, ტრანზაქციები, იმ ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის საანგარიშგებო ვალუტისგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია იმ ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც დადგენილია ტრანზაქციების დღეებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ყოველი საანგარიშგო პერიოდის დასრულების შემდეგ, ფულადი საშუალებები, გამოხატული უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. არაფულადი საშუალებები, გათვალისწინებული სამართლიან ფასად, რომელიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ თარიღში, როცა განსაზღვრულ იქნა სამართლიანი ფასი. არაფულადი საშუალებები, რომელთა შეფასებაც ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში, არ კონვერტირდება.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია თავდაპირველად აღიარებს სესხებსა და მოთხოვნებს მათი წარმოშობის თარიღის მიხედვით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარებულია თავდაპირველად გარიგების თარიღის მიხედვით, როცა კომპანია იქცა ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარედ.

კომპანია აღარ აღიარებს ფინანსურ აქტივს მაშინ, როცა აქტივიდან გამომდინარე ფულადი სახსრების ნაკადზე სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გაუვიდა, ან როცა ის ახდენს უფლებების გადაცემას ფინანსური აქტივიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებასთან დაკავშირებით იმგვარი ტრანზაქციით, რომელშიც მნიშვნელოვნად ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და მოგების გადაცემა ხდება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი, ან შენარჩუნებულია კომპანიის მიერ, აღიარებულია როგორც ქონება, ან ვალდებულება.

კომპანია აღარ აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას, როცა მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებული, გაუქმებული, ან ვადაგასულია. ხდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულია სუფთა ოდენობა როცა და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიას მიმდინარედ გააჩნია იურიდიულად გამყარებული, აღიარებული თანხების ჩათვლის უფლება და მიზნად ისახავს განახორციელოს თანხის გაქვითვა ნეტ ღირებულებაზე დაფუძნებით ან გაასხვისოს ქონება და განახორციელოს ვალდებულებათა გაქვითვა ერთსა და იმავე დროს. ამჟამად კომპანიას გააჩნია სამართლებრივად რეალიზებადი ჩათვლის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება არაა დამოკიდებული სამომავლო მოვლენაზე და რეალიზებადია როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ისე კომპანიისა და ყველა კონტრაქტორის დეფოლტის, გადახდისუუნარობის, ან გაკოტრების შემთხვევაში.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების ის კატეგორიებია, რომელთაზეც დაკავშირებულია ის ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადახდები, რომელთა კოტირებაც არ ხდება აქტიურ ბაზარზე. ასეთი აქტივები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიან ფასად, პლუს ნებისმიერი პირდაპირი თანმდები საოპერაციო ხარჯი. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება ამორტიზებული ხარჯის შეფასება ეფექტური პროცენტის დარიცხვის მეთოდის მეშვეობით, ნაკლები ვიდრე გაუფასურების დანაკარგები.

სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიას მიეკუთვნება ფინანსური აქტივების შემდეგი კლასები: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები (ფულადი ნაშთები ბანკებში).

### ფინანსური ვალდებულებები

კომპანია არადერივატიულ ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. ასეთი ფინანსური ვალდებულებები აღიარებულია პირველად სამართლიან ფასად, სადაც არ გაითვალისწინება რაიმე პირდაპირი, ტრანზაქციის თანმდები ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ, ეს ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებულ ფასად ეფექტური პროცენტის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და კრედიტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

### გაუფასურება

ფინანსური აქტივის შეფასება ხდება ყოველ საანგარიშო თარიღში, რათა განსაზღვრულ იქნას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოხდება მისი გაუფასურება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუკი ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის პირვანდელი აღიარების შემდეგ დადგა დანაკარგის ფაქტი და რომ დანაკარგის ფაქტს ნეგატიური ეფექტი აქვს აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადზე, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი.

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, შესაძლოა მოიცავდეს დეფოლტს, ან მოვალის მიერ გადაუხდელობას, კომპანიისადმი კუთვნილი თანხის რესტრუქტურისაციას იმგვარად, რომ კომპანია სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს, აგრეთვე მოვალის გაკოტრებაზე მითითებას, კომპანიის მსესხებლის, ან მოვალის სტატუს კვოში მნიშვნელოვან ცვლილებებს, ეკონომიკურ გარემოებებს, რომელიც კორელაციას ახდენს დეფოლტებთან, აქტიური ბაზრის გაქრობა უსაფრთხოების, ან დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, რომელიც მიუთითებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი შემცირება მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

### სესხები და მოთხოვნები

კომპანია ითვალისწინებს სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებებს როგორც კონკრეტულ აქტივზე, ისე კოლექტიურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა ფასდება კონკრეტული გაუფასურების ჭრილში. ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა, რომლებიც კონკრეტულად არ გაუფასურდება, შემდეგ კოლექტიურად ფასდება ყველა იმ გაუფასურების ჭრილში, რომლებიც განცდილ იქნა, მაგრამ ჯერ არ მომხდარა მათი იდენტიფიცირება. სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალური მნიშვნელობის არ არის, კოლექტიურად ფასდება გაუფასურების ჭრილში მსგავსი რისკის მახასიათებლების მიხედვით სესხებისა და მოთხოვნების დაჯგუფების გზით.

კოლექტიური გაუფასურების შეფასების ნაწილში კომპანია იყენებს დეფოლტის ალბათობის ისტორიულ ტენდენციებს, ანაზღაურების ვადებსა და განცდილი დანაკარგის ოდენობებს, რომელთა კორექტირებაც ხდება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით იმის დასადგენად, რომ

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

არსებული ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა იმგვარია, რომ ფაქტობრივი დანაკარგები მოსალოდნელია, რომ აღემატებოდეს, თუ იყოს უფრო მცირე, ვიდრე წარმოდგენილი ისტორიული ტენდენციები.

გაუფასურებიდან გამომდინარე დანაკარგი ფინანსურ აქტივთან ამორტიზირებული ღირებულების ჭრილობი იზომება მის საბალანსო ღირებულებასა და წარმოდგენილი სავარაუდო სამომავლო ფულის ნაკადებს შორის სხვაობით, დისკონტირებული აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დანაკარგების აღიარება ხდება მოგებად, ან დანაკარგად და აისახება სარეზერვო ანგარიშზე. პროცენტი გაუფასურებულ აქტივზე კვლავაც აღიარებული რჩება დისკონტის გაუქმებით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების დანაკარგის ოდენობის შემცირებას, გაუფასურების დანაკარგის აღდგენა ხდება მოგებით, ან ზარალით.

### არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივებისა, შემოწმდება ყოველ საანგარიშო თარიღში, რათა განსაზღვრულ იქნას, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები. თუკი ასეთი ნიშნები არსებობს, ხდება აქტივის ანაზღაურებადი ოდენობის შეფასება. გაუფასურების დანაკარგის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ოდენობას.

გაუფასურების შემოწმების მიზნებისათვის, აქტივები, რომელთა შემოწმებაც შეუძლებელია ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების მინიმალურ ჯგუფად, რომელიც ახდენს ფულადი სახსრების შემოძინებას განგრძობითი გამოყენების პირობებში, რაც დიდ წილად დამოუკიდებელია სხვა CGU-ს თუ აქტივების ფულადი სახსრების შემოძინებისგან. კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენს პირველადი ფულადი სახსრების შემოძინებას და გამოიყენება ერთზე მეტი CGU-ს მიერ. კორპორატიული აქტივები ნაწილდება CGU-ებს შორის გონივრულ და თანმიმდევრულ ბაზისზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ CGU-ს შემოწმების ფარგლებში რომელზეც განაწილებულია აქტივი.

აქტივის, ან CGU-ს ანაზღაურებადი ოდენობა - ეს არის გამოყენებაში მისი უდიდესი ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირება მათ ამჟამინდელ ღირებულებამდე, რა დროსაც გამოიყენება დაბეგრამდელი დისკონტის განაკვეთი, რომელიც ასახავს ფულის დროითი მნიშვნელობისა და რისკების არსებულ საბაზრო შეფასებებს აქტივისა თუ CGU-ს ჭრილობში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან მისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ჯგუფი (CGU) - ს საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ოდენობას. გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგებაში ან დანაკარგში. CGU-სთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების დანაკარგები ამცირებს CGU-ში (CGU-ების ჯგუფებში) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებებს პროპორციულობის საფუძველზე.

გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები რომელთა აღიარება მოხდა წინა პერიოდებში, ფასდება ყოველ სააღრიცხვო დღეს იმ ნიშნების შესამოწმებლად, რაც მიუთითებს, რომ დანაკარგი შემცირდა, ან საერთოდ აღარ არსებობს. გაუფასურებით წარმოქმნილი დანაკარგი აღდგება, თუკი მოხდა რაიმე ცვლილება იმ შეფასებებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა ანაზღაურებადი თანხების განსასაზღვრავად. გაუფასურების დანაკარგი აღდგება მხოლოდ იმ პირობებში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, ცვეთის ან ამორტიზაციის გარეშე, არანაირი გაუფასურებიდან წარმოქმნილი დანაკარგის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

### ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება წარსულში მომხდარი შემთხვევის შედეგად, კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც შესაძლოა, რომ საიმედოდ იქნას შეფასებული, და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასარეგულირებლად

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადის დისკონტით დაბეგრამდე არსებულ განაკვეთამდე, რომელიც ასახავს ვალდებულებისთვის დამახასიათებელი ფულის დროითი ღირებულებისა და რისკების არსებულ საბაზრო შეფასებებს. დისკონტის რესტიტუცია აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი.

### საიჯარო ქირის გადახდები

იჯარის ოპერირებასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია მოგებაში, ან ზარალში სწორბაზოვან ბაზისზე საიჯარო ვადის განმავლობაში. მიღებული ანაზღაურებები აღიარებულია როგორც ჯამური საიჯარო ხარჯების განუყოფელი ნაწილი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში.

### მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება არსებულ საგადასახადო მოდელში და ეს ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, შეეხო ყველა საწარმოს, გარდა ცალკეული ფინანსური ინსტიტუტებისა. ახლებური მოდელი გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, რაც განსხვავდება წინა მოდელისგან, როცა 15%-ის დარიცხვა ხდებოდა კომპანიის მოგებაზე დაბეგრამდე, მიუხედავად იმისა, მოხდებოდა მოგების განაწილება თუ არა.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რომლებიც ეხება კომპანიას, ხოლო საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, ისე სავარაუდო მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- განაწილებული მოგებები;
- გაწეული ხარჯები ან სხვა ისეთი გადახდები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და/ან სახსრების გადაცემა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას.

მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე აღიარებულია, როგორც ხარჯი იმ მომენტში, როცა ხდება დივიდენდების დეკლარირება და ასახვა "მოგების გადასახადის" ქვეშ ანგარიშგებასა და მოგებასა თუ დანაკარგში. ამჟამინდელი საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის ფასდება იმ ოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია, ან რომლის გადახდაც ხდება საგადასახადო ორგანოებისთვის.

იმ მიმართულებით დარიცხული გადასახადი, რომელიც არ ექცევა განაწილებულ მოგებაში, როგორც ეს ზემოთ იქნა აღწერილი, აღირიცხება "გადასახადები და სახდელები" - ს ქვეშ ანგარიშგებასა და მოგებასა თუ დანაკარგში.

ახალი კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება, როცა მოგება მიღებულია და დაეკისრება მოგების გადასახადის ხარჯი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მოგების განაწილება.

### დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

გამავალი დღგ, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადაიხდება კლიენტებისთვის საქონლის მიწოდებისას. შემომავალი დღგ, როგორც წესი, ანაზღაურებადია გამავალი დღგ-ს მიმართ, ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ, მოხდეს დღგ-ს გადახდა ნეტ ღირებულების საფუძველზე. დღგ, დაკავშირებული გაყიდვებთან და შესყიდვებთან, აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტ საფუძველზე და მისი გამჟღავნება ხდება როგორც აქტივი, ან როგორც ვალდებულება. იქ, სადაც ანარიცხები გაკეთებულ იქნა მოთხოვნების გაუფასურებისთვის, გაუფასურებიდან გამოწვეული დანაკარგი აღირიცხება მოვალის მიმართ გროს ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი არის კომპანიის აქტივებში დარჩენილი წილი, მისი ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მიღებული ამონაგების მიხედვით, ემისიის პირდაპირი ხარჯების საფუძველზე.

### 5. კრიტიკული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და გაურკვევლობის შეფასების საკვანძო წყაროები

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და დაშვებებს, რაც ზეგავლენას ახდენს იმ თანხებზე, რომელთა აღიარებაც მოხდა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებებში და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებული გარემოებების პირობებში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს ცალკეულ გადაწყვეტილებებს, გარდა იმისა, რაც ეხება შეფასებებსა და პროცესში სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებას. ქვემოთ მოყვანილია გადაწყვეტილებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში.

#### დაკავშირებული მხარის ფინანსური ტრანზაქციების პირველადი აღიარება

ბიზნეს საქმიანობის ჩვეულებრივ წარმართვის პირობებში, კომპანია ახორციელებს ფინანსურ ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ამ შემთხვევაში, მთავარია იმის განსაზღვრა, ტრანზაქციები ფასდება საბაზროზე დაბალი ფასით, თუ არასაბაზრო პროცენტული განაკვეთებით, როცა ასეთი ტრანზაქციისთვის ზოგადად არანაირი აქტიური ბაზარი არ არსებობს. გადაწყვეტილების მიღების საფუძველად გამოიყენება მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასები არადაკავშირებულ მხარეებს შორის და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

### 6. საექსპედიტორო შემოსავალი

იმ წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბრით, საექსპედიტორო შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი გენერირებულ იქნა ტვირთის გადაზიდვის მართვის მომსახურებების საფუძველზე კომპანიის ყველაზე დიდ კლიენტთან, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

### 7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                      | 2018           | 2017           |
|----------------------|----------------|----------------|
| პერსონალური ხარჯები  | 345,732        | 647,452        |
| იჯარის ხარჯები       | 52,212         | 78,827         |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 16,458         | 28,785         |
| სხვა ხარჯები         | (4,035)        | 193,780        |
|                      | <b>410,367</b> | <b>948,843</b> |

### 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)**

|                                                                                  | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                                               | 79,504                    | 583,331                   |
| ნაკლები: საექვო ვალების ანარიცხი                                                 | -                         | (26,884)                  |
| <b>ჯამური სავაჭრო მოთხოვნები</b>                                                 | <b>79,504</b>             | <b>556,447</b>            |
| საექსპედიტორო კონტრაქტის შესაბამისად კლიენტის მიმართ არსებული აღურიცხავი თანხები | 33,989                    | 144,993                   |
| სხვა მოთხოვნები                                                                  | 209,192                   | 185,501                   |
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>                                                | <b>322,686</b>            | <b>886,942</b>            |

კომპანიის საკრედიტო და სავალუტო რისკების და გაუფასურებიდან გამომდინარე დანაკარგების მიმართ, რაც უკავშირდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, მოცემულია შენიშვნა 14-ში.

**9. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები**

|                           | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| ნაღდი ფული ბანკში დოლარში | 581,326                   | 2,447,449                 |
| ნაღდი ფული ბანკში ლარში   | 32,828                    | 49,038                    |
|                           | <b>614,155</b>            | <b>2,496,487</b>          |

**10. საწესდებო კაპიტალი**

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი აირს 5,000 აშშ დოლარი (10,625 ლარი). საწესდებო კაპიტალის მთელი ოდენობის და შესაბამისად, კომპანიის წილების 100% - ის მესაკუთრეა პანალპინა ცენტრალური აზია.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ დაადეკლარირა და გასცა 0 დივიდენდი.

**11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                  | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები            | 37,254                    | 26,366                    |
| სხვა ვალდებულებები და დარიცხვები | 305,912                   | 218,862                   |
|                                  | <b>343,166</b>            | <b>245,228</b>            |

ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს კომპანიის სავალუტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს, დაკავშირებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან, მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

**12. ანარიცხები**

ყველაზე დიდ კლიენტთან დადებული საექსპედიტორო კონტრაქტის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია მოახდინოს ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა ტვირთის გადაზიდვის პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე.

კონტრაქტის თანახმად, ვალდებულებები კლიენტის მიმართ დაითვლება შემდეგი პრინციპით: ადამიანური რესურსის ღირებულებას დამატებული ნამატი. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ხარჯები ადამიანური რესურსების ნაწილში მოიცავდა შემდეგს: ხელფასები, ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები და Panalpina Group - ის კორპორატიული განაცემები.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

2016 წლის დეკემბერში კლიენტმა შეაფასა ადამიანური რესურსების ხარჯები და მიიჩნია, რომ ადამიანური რესურსებისა და ნამატის ხარჯი, რომელიც კომპანიის მიერ ირიცხებოდა, მნიშვნელოვნად იყო გაბერილი. შედეგად, კლიენტმა მოითხოვა წინა გადახდების გადახედვა.

კომპანიამ გაქვითა მოთხოვნა კლიენტთან ხსენებულ თანხებზე 2018 წელს.

### 13. სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადახდილ იქნებოდა ვალდებულების გადასაცემად ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები შეფასებულ იქნა კომპანიის მიერ, სადაც ეს არსებობს - ბაზარზე ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია გადაწყვეტილების მიღება. საქართველო კვლავაც წარმოაჩენს განვითარებადი ბაზრის სხვადასხვა მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზარზე საქმიანობას. საბაზრო კოტირებები შესაძლოა იყოს მოძველებული ან ასახავდეს დისტრესულ გაყიდვებს და შესაბამისად, არ წარმოაჩენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მოქცეულია მე-3 კატეგორიაში. სავაჭრო და სხვა ვალების, ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ექვივალენტების და ფინანსური მოთხოვნების მოკლევადიანი ბუნების გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ საბალანსო ღირებულებები დაახლოებით ახლოსაა მის სამართლიან ღირებულებასთან.

### 14. რისკების მართვა

#### მიმოხილვა

კომპანია მისი ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ექცევა შემდეგი რისკების ქვეშ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის წინაშე არსებული თითოეული ზემოხსენებული რისკის შესახებ, აგრეთვე კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების შესახებ, რომლებიც გამოიყენება რისკების შეფასებისა და მართვის პროცესში და კომპანიის კაპიტალის მართვისას.

ფინანსური მიმართულების ხელმძღვანელს აკისრია ზოგადი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის ჩარჩოს შექმნისა და მართვის კუთხით. კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე.

#### საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური ინსტრუმენტის კლიენტი, ან კონტრაქტორი ვერ ასრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკები, როგორც წესი, უკავშირდება სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს ბანკში და ვადამოსულ მოთხოვნებს დაკავშირებული მხარეების მიმართ. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და დაკავშირებული მხარეების ვადამოსული მოთხოვნებიდან

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

გამომდინარე საკრედიტო რისკების მონიტორინგს განგრძობითობის საფუძველზე ახორციელებს ხელმძღვანელობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

### საკრედიტო რისკები

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს. საანგარიშგებო თარიღში მაქსიმალური საკრედიტო რისკის დონე იყო შემდეგი:

|                                         | შენიშვნა | საბალანსო ღირებულება   |                        |
|-----------------------------------------|----------|------------------------|------------------------|
|                                         |          | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი |
| სავაჭრო მოთხოვნები                      | 8        | 79,504                 | 556,447                |
| ვადამოსული მოთხოვნები                   |          |                        |                        |
| დაკავშირებული მხარეებისგან              |          | (2,742)                | 1,050,244              |
| ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები | 9        | 614,155                | 2,496,487              |
|                                         |          | <b>690,917</b>         | <b>4,103,178</b>       |

### სავაჭრო მოთხოვნები და ვადამოსული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ

კომპანია აფუძნებს რეზერვს გაუფასურებისთვის, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების კუთხით დანაკარგების შეფასებას. ამ რეზერვის ძირითადი კომპონენტებია დანაკარგის სპეციფიკური კომპონენტი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალური ნიშნის მქონე რისკებს.

ანგარიშგების თარიღისთვის, ყველა სავაჭრო მოთხოვნის 98% მომდინარეობდა ერთი კლიენტისგან (2017 წლის 31 დეკემბერი: 98%).

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას დროულად. ლიკვიდურობის რისკი ძირითადად უკავშირდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ნაშთებს დაკავშირებული მხარეებისგან.

კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვის კუთხით გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის გააჩნდეს სათანადო ლიკვიდურობა დროულად ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, მიუღებელი დანაკარგებისა და კომპანიის რეპუტაციის სარისკო დაზიანების გარეშე.

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადები ანგარიშგების თარიღებისათვის:

|                                | საბალანსო ღირებულება | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები | 6 თვე ან ნაკლები | 6 თვეზე მეტი |
|--------------------------------|----------------------|--------------------------------|------------------|--------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერს</b>  |                      |                                |                  |              |
| სავაჭრო ვალდებულებები          | 343,166              | 343,166                        | 343,166          | -            |
| ვადამოსული ვალდებულებები       |                      |                                |                  |              |
| დაკავშირებული მხარეების მიმართ | 346,554              | 346,554                        | 346,554          | -            |
|                                | <b>454,963</b>       | <b>454,963</b>                 | <b>454,963</b>   | <b>-</b>     |

|  | საბალანსო ღირებულება | სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები | 6 თვე ან ნაკლები | 6 თვეზე მეტი |
|--|----------------------|--------------------------------|------------------|--------------|
|--|----------------------|--------------------------------|------------------|--------------|

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

### 2018 წლის 31 დეკემბრის

|                                |                |                |                |   |
|--------------------------------|----------------|----------------|----------------|---|
| სავაჭრო ვალდებულებები          | 26,366         | 26,366         | 26,366         | - |
| ვადადებული ვალდებულებები       |                |                |                |   |
| დაკავშირებული მხარეების მიმართ | 428,597        | 428,597        | 428,597        | - |
|                                | <b>454,963</b> | <b>454,963</b> | <b>454,963</b> | - |

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, როდესაც საბაზრო ფასების ცვლილებები, როგორცაა ვალუტის კურსი და საპროცენტო განაკვეთი, ზეგავლენას ახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების მისაღებ პარამეტრებში კონტროლი და მართვა. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთის რყევებს.

### სავალუტო რისკი

კომპანია და ფილიალი ძირითადად იყენებენ აშშ დოლარის გაცვლით კურსს მათი ტრანზაქციებისა და ნაშთების უმეტეს შემთხვევებში.

### კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის რაიმე ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეობის ნდობა. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგითა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით. ამ ღონისძიებების შედეგად კომპანია მიზნად ისახავს მოგების მუდმივ ზრდას.

## 15. დასკვნითი დებულებები

### სამართლებრივი პროცედურები

დროდადრო და ბიზნეს საქმიანობის ჩვეული რიტმის პირობებში კომპანიისადმი პრეტენზიები მოდის კლიენტებისა და კონტრაქტორებისგან. ხელმძღვანელობა თვლის, რომ განცდილი არ იქნება რაიმე მნიშვნელოვანი, გაუთვალისწინებელი დანაკარგები.

### დაბეგვრა

ქართული საგადასახადო სამართალი შესაძლოა იწვევდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და შესწორებების საფუძველს. ამასთან, ხელმძღვანელობის ინტერპრეტაცია საგადასახადო კანონმდებლობის გაგებისა, შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების შეხედულებებისგან, ტრანზაქციები შესაძლოა გადავებულ იქნას საგადასახადო ორგანოების მიერ და შედეგად კომპანიას შეიძლება დამატებით დაეკისროს გადასახადების, ჯარიმებისა თუ პროცენტის გადახდა. კომპანიაში მიიჩნევენ, რომ მან უკვე განახორციელა ყველა საგადასახადო გადახდა და შესაბამისად, ამის შესახებ არანაირი დაშვება არ გაკეთებულა ფინანსურ ანგარიშგებებში. საგადასახადო წლები ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი წლის განმავლობაში.

### საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. ვინაიდან, საქართველოში ბიზნეს გარემოზე ზეგავლენის მომხდენი კანონები და რეგულაციები სწრაფად იცვლება, კომპანიის აქტივებსა და ოპერაციებს შესაძლოა წარმოეშვას პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში ნეგატიური ცვლილებების რისკი.

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები იმ წლისთვის, რომელიც სრულდება 2018 წლის 31 დეკემბრით (ლარში)

განვითარებადი ბაზრები, როგორცაა მათ შორის საქართველოს ბაზარი, უფრო ხშირად დგას სხვადასხვა რისკების წინაშე, ვიდრე განვითარებული ბაზრები, მათ შორის იგულისხმება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა საქართველოში ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციებს და პრობლემების წარმოქმნის სხვადასხვა საფუძველი შესაძლოა გახდეს სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებიც. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდ წილად განისაზღვრება მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკები, ასევე სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური განვითარების განმსაზღვრელი გარემოებები.

2018 წლის განმავლობაში, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, რომლებიც საქართველოს დიდი სავაჭრო პარტნიორები არიან, მოხდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური არეულობები, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია ქართული ეკონომიკისათვის.

საქართველოში ეკონომიკური სიტუაცია დიდ წილად დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ ღონისძიებებზე, ქართული ეკონომიკურ სამომავლო მდგომარეობაზე და დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე შედეგები წინასწარ ძნელი განსასაზღვრავია.

### 16. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები

კომპანია, ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, შედის გარიგებებში სხვა ბიზნეს საწარმოებთან, რომლებიც ექვევნიან IAS 24 - ით განსაზღვრული 'დაკავშირებული მხარეების' დეფინიციას. ეს ტრანზაქციები ძირითადად მოიცავს სესხებს, საექსპედიციო მომსახურებებს, სესხის პროცენტებს და შეთანხმებული განაკვეთების მართვას. კომპანია ასევე იყოფს ხელმძღვანელობას, საკვანძო პერსონალსა და პოლიტიკის შემუშავების პროცესს თავის დამფუძნებელ კომპანიასთან და ჯგუფის სხვა კომპანიებთან.

სხვა დაკავშირებული მხარეთა ნაშთები და ტრანზაქციები

მოგება და ხარჯები

ვადამოსული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ

|                                                       | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვადამოსული მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ: |                           |                           |
| - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები      | (2,742)                   | 1,050,244                 |
|                                                       | <b>(2,742)</b>            | <b>1,050,244</b>          |

ვადამოსული ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ

|                                                          | 2018 წლის 31<br>დეკემბერი | 2017 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვადამოსული ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ: |                           |                           |
| - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციები         | 346,554                   | 428,597                   |
|                                                          | <b>346,554</b>            | <b>428,597</b>            |

სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი

N191126252



სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის თარიღი

16.09.2019 წ

სანოტარო მოქმედების  
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული  
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, სანაპიროს 2ა, #1

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2952228 599336099

სანოტარო მოქმედების  
ინდივიდუალური ნომერი

74488030409819



საქართველო/Georgia

მე, ნოტარიუსი, დავით ჩალათაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის ქ.#4, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტის დიპლომირებული მთარგმნელის, ირაკლი სულამეს (დაბადებული 28.09.1993, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 11, ბინა 17, ბარათის ნომერი: 13IC41317, პირადი ნომერი: 01011081618 გაცემული თბილისის იუსტიციის სამინისტროს მიერ, სერტიფიკატი გაცემული კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ (FCE - First Certificate English, შეფასება A) სარეგისტრაციო ნომერი: 106GE0010079, ხელმოწერის სინამდვილეს. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. გადახდილია საზღაური: 36.00 ლარი, დღგ 6.48 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიდან წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (29.12.2011წელი) 31-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე. I, notary of the notary bureau located on : Mtkvari str.4, Tbilisi, Davit Chalataashvili, confirm the authenticity of signature of qualified translator Irakli Sualdze (born on 28.09.1993, res. at Georgia, Tbilisi, Vazisubani settlement, 1st micro-district, block 11, flat 17, card number 13IC41317, ID number: 01011081618, issued by Ministry of Justice, Certificate issued by the University of Cambridge (FCE - First Certificate English, Grade: A) reference number: 106GE0010079. Translator is warned about her responsibility of the accuracy of translation and she gives the guaranty of accurate translation.

The notary tax is paid: 36.00 GEL, VAT 6.48 lari pursuant to article 169 of Georgia tax code and 2.00 GEL for drawing up notary act according to the articles 31.3 and paragraph 1 of article 39 of resolution # 507 (29.12.2011 ) of the government of Georgia about notary tax for drawing up notary act and ascertained fees for notary chamber, rules of payment and approval of terms of service

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

Notary : Davit Chalataashvili

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის მისი შექმნის შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995 32 2 66 19 18